პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 აპრილი, ოთხშაბათი, 1985 წ.
№ 78 (8889) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტს ეძღვნება. წერილებში, რომელთაც „ლელოს" ტრადიციული რუბრიკებით გთავაზობთ, მოგითხრობთ ინსტიტუტის დღევანდელ დღეზე, იმ ადამიანებზე, ვინც უანგაროდ ემსახურება სპორტის სპეციალისტთა აღზრდას, მოგითხრობთ სწავლის, სპორტის, სამხედრო სამსახურის მოწინავეებზე.

დღეისათვის ინსტიტუტის დღის განყოფილებაზე 668 სტუდენტი სწავლობს (მათ შორის პედაგოგიურ ფაკულტეტზე — 296, მწვრთნელთა ფაკულტეტზე — 372), დაუსწრებელ განყოფილებაზე — 627. 216 სტუდენტი საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების კანდიდატია სპორტის 34 სახეობაში. ინსტიტუტში 141 პროფესორ-მასწავლებელი მუშაობს, მათ შორის 9 პროფესორი, 8 მეცნიერებათა დოქტორი, 47 დოცენტი და მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტს აქვს 15 აუდიტორია, 7 ლაბორატორია, 8 კაბინეტი, 6 სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, სტადიონი და ჩოგბურთის კორტები.

ჩვენი სადღეისო საზრუნავი

ომარ გოგიაშვილი,

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ასპარეზი უფრო და უფრო ფართოვდება. ცხადია, იზრდება ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტთა როლიც. საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მთელი კოლექტივის წინაშე მეტად რთული და სერიოზული ამოცანები დგას. უწინარეს ყოვლისა, ეს არის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის, მასობრივ-გამაჯანსაღებელი ფიზკულტურისა და ტურიზმის, საწარმოო ფიზკულტურის, სპორტის ცალკეული სახეობების კვალიფიციური კადრების მომზადება, ისეთი სპეციალისტების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ მხარი აუბან ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის სადღეისო მოთხოვნებს, გახდნენ სპორტის ჭეშმარიტი პროპაგანდისტები და ორგანიზატორები. ამას გარდა, ინსტიტუტის უშუალო მოვალეობაა იზრუნოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლაზე, სპეციალისტთა კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებაზე, პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მწვრთნელებს, ერთი სიტყვით, მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებასთან.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1984 წლის 21 იანვრის კრებაზე წამოჭრილი თითქმის ყველა საკითხი უკავშირდება ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობას. ამ საკითხთა შორის, რა თქმა უნდა, უმთავრესია კვალიფიციური კადრების აღზრდა-მომზადება. ჩვენ ვეძებთ თანამედროვე სპეციალისტის მომზადების საფუძვლიან, ეფექტურ სისტემას, სასწავლო და საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციის ოპტიმალურ გზებს. ბევრი სიახლეც დაინერგა. ვითვალისწინებთ ინსტიტუტის სპეციფიკურობას, სტუდენტთა კონტიგენტის თავისებურებას, კოლეგების მოწინავე გამოცდილებას. საბოლოო შედეგს, ცხადია, განაპირობებს ლექცია-სემინარების, პრაქტიკული მეცადინეობების მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე წარმართვა. ამ თავისთავადაც უაღრესად რთულ და მრავალმხრივ პროცესს ჩვენი ინსტიტუტის სპეციფიკა კიდევ უფრო ართულებს. საქმე ის არის, რომ სტუდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი კვალიფიციური მოქმედი სპორტსმენია, რაც სერიოზულ წინააღმდეგობას ქმნის სასწავლო და საწვრთნელი მუშაობის შეთავსებაში. ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად ყველა კურსისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავით დგას პირველ კურსზე. არის სასწავლო ჯგუფები, სადაც სტუდენტთა 90-95 პროცენტი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრია. მუშაობის სწორად წარმართვისთვის გვჭირდება სპორტული საზოგადოებრიობის, პირველ ყოვლისა კი ნაკრები გუნდების მწვრთნელთა მხარდაჭერა. ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ სტუდენტ სპორტსმენთა ოსტატობის ზრდას, მაგრამ, სამწუხაროდ, სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში მწვრთნელებისგან ვერ ვგრძნობთ ასეთსავე თანადგომას.

ვიმეორებ, ინსტიტუტის უმთავრესი ამოცანაა კვალიფიციური კადრების აღზრდა და ჩვენი ყურადღებაც, პირველ ყოვლისა, აქეთკენ არის მიმართული, ამავე დროს, სადაც ამის შესაძლებლობა არის, „გზადაგზა" კორექტივები შეგვაქვს თეორიულ მეცადინეობათა განრიგში, რათა არ შეფერხდეს სტუდენტთა სპორტული ოსტატობის ზრდა.

ჩვენი მუშაობის მეორე მთავარი მიმართულებაა ზრუნვა იმ კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, რომლებიც უკვე ეწევიან პრაქტიკულ საქმიანობას. აქტივის კრებამ სამართლიანად გაგვაკრიტიკა ამ საქმეში არსებული ხარვეზების გამო. დაგვევალა შეგვექმნა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი ფაკულტეტი. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელთა აქტიური დახმარებით ჩატარდა ფართო ორგანიზაციული მუშაობა და წლეულს იანვარში ფაკულტეტმა პირველი მსმენელები მიიღო. ყველა პირობა იქმნება იმისთვის, რომ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებმა პერიოდულად აიმაღლონ კვალიფიკაცია, მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. შემუშავდა სასწავლო პროგრამები, შედგენილია სასწავლო-მეთოდური მასალა, ფაკულტეტს გამოეყო სამუშაო ადგილი, ლექციებს კითხულობენ რესპუბლიკის, ქვეყნის წამყვანი, გამოცდილი სპეციალისტები. ვვარაუდობთ, რომ ხუთი წლის განმავლობაში ფაკულტეტზე კვალიფიკაციას აიმაღლებს რესპუბლიკის ფიზკულტურული კადრების მთლიანი კონტინგენტი.

აქვე მინდა შევეხო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკითხებსაც. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს უბანი წლების მანძილზე თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული. არადა, თანამედროვე სპორტის განვითარებას სწორედ სპორტული მეცნიერების მიღწევები უდევს საფუძვლად. ამ ბოლო ხანს, შეიძლება თამამად ითქვას, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა თეორიული სიახლეების პრაქტიკაში დასამკვიდრებლად. საქართველოს სპორტკომიტეტში შეიქმნა სამეცნიერო საბჭო, რომელმაც თეორიასა და პრაქტიკას შორის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია იკისრა. ამ მხრივ სერიოზული გეგმები აქვს ჩვენს ინსტიტუტსაც. ამას წინათ საფუძვლიანად შევისწავლეთ ცალკეული კათედრების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და მეტად სერიოზული ნაკლოვანებებიც გამოვავლინეთ. არის კათედრები, რომელთაც სამი-ოთხი წლის მანძილზე ერთი სამეცნიერო-მეთოდური სტატიაც კი არ დაუმუშავებიათ, ზოგიერთი კათედრის წევრთა საშუალო ასაკი სამოც წელს გადასცილდა, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდობა კი ნაკლებად ჩანს. ამიტომ განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ინსტიტუტის ასპირანტურის აღდგენის საკითხი. ეს ასპირანტურა 1982 წლამდე არსებობდა (აქ მომზადდა 25 მეცნიერებათა კანდიდატი, მათგან ორმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა), მაგრამ ჩვენივე დაუდევრობით გაუქმდა. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებდა ის გარემოებაც, რომ მათ არ ჰქონდათ საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობა. სხვათა შორის, რესპუბლიკურ და საკავშირო კონფერენციებში იშვიათად მონაწილეობდნენ ჩვენი სტუდენტებიც. აქვე მინდა აღვნიშნო, ჩვენ გვაქვს დიდი იმედი და შესაძლებლობაც, რომ ეს ხარვეზები უახლოეს პერიოდში აღმოიფხვრება. გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. ახლახან სასიხარულო ცნობა მივიღეთ კრასნოდარიდან, სადაც ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების სტუდენტთა 32-ე საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა: ამ კონფერენციაში ჩვენი ოთხი სტუდენტი მონაწილეობდა და ოთხივეს ნაშრომს მაღალი შეფასება ხვდა. მაგალითად, მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა ირინე ბექაურმა, მესამე ხარისხისა — ვლადიმერ აფხაძემ და კარინა გაბრიელიანმა, კრასნოდარის მხარის სპორტკომიტეტის დიპლომით აღინიშნა მამუკა ნინუას თემა. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტისა და ჟიურის გადაწყვეტილებით ამ ახალგაზრდებს მიეცათ რეკომენდაციები ასპირანტურაში შესასვლელად.

— უკვე შეიქმნა ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭო, სექტემბრიდან მუშაობას დაიწყებს საკათედრათაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, აგრეთვე მოძრავი კომპლექსური სამეცნიერო ლაბორატორია, რომელიც დახმარებას გაუწევს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს. რეგულარულად ჩატარდება მეთოდოლოგიური სამეცნიერო სემინარები, სადაც განიხილება ფიზკულტურისა და სპორტის საკვანძო საკითხები, დაისახება ამ საკითხების გადაჭრის გზები და მეთოდები, გათვალისწინებული გვაქვს სახელშეკრულებო თემების გაფორმება მსხვილ საწარმო-დაწესებულებებთან... ერთი სიტყვით, კურსი იქითკენ ავიღეთ, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში გავაუმჯობესოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და მოწინავე პოზიციებზე გავიდეთ.

ყოველივე ამასთან ერთად ვზრუნავთ ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის. მწყობრში ჩადგა ახალი სასწავლო კორპუსი სამი ავტომატიზებული აუდიტორიით, გაფართოვდა და სერიოზული კვლევითი მუშაობის პირობები შეიქმნა პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის, ფიზიკური კულტურის მართვის ორგანიზაციის, ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის, ბიომექანიკისა და სპორტული მეტროლოგიის კათედრებზე, ადგილი გამოეყო და სათანადოდ აღიჭურვა სამედიცინო სამსახური. ბაკურიანში ძველი ფიცრული კორპუსების ნაცვლად შენდება ინსტიტუტის თანამედროვე სასწავლო-საწვრთნელი ბაზა, გაისისთვის დამთავრდება სამდარბაზიანი კომპლექსის მშენებლობა, მთლიანად შეიცვლება ძირითადი სასწავლო კორპუსის კომუნიკაციები, კეთილმოეწყობა საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები, საფეხბურთო სტადიონი.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი ღირსეულად შეხვდება თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

იხ. მე-2-3 გვ.

ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშები

დარჩენილ შეხვედრებს დაველოდოთ

ლენინგრადი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ). ორი ტური და დამთავრდება ჭაბუკთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელ გოგონათა ტურნირი. მთავარ ფინალურ ჯგუფში უკვე გამოვლინდნენ ლიდერები და აუტსაიდერები. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ოთხი გუნდი განაგრძობს. სხვებზე უკეთესი შანსები ბელორუსისა და უკრაინის კალათბურთელებს აქვთ. პირველი ადგილის ბედი, როგორც ჩანს, მათ შეხვედრაში გადაწყდება.

მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძვიან ლიტვისა და მოსკოვის გუნდები. პრიზიორთა სამეულში გასვლის თეორიულ შანსებს რუსეთის ფედერაციის გუნდიც ინარჩუნებს.

მეოთხე ტურში ლენინგრადის ნაკრებმა სრულიად მოულოდნელად [illegible] ერთ-ერთი ლიდერი — ბელორუსის გუნდს. მატჩის ბედი [illegible] ნაციამ მოუტანა სასურველი გამარჯვება — 72:71.

მეხუთე ტურში საქართველოს ნაკრები სწორედ ლენინგრადის კოლექტივს შეხვდა. პირველ ტაიმში ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. მასპინძლებმა ტაიმი მხოლოდ 5 ქულის სხვაობით მოიგეს — 39:34. შესვენების შემდეგ ჩვენი გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე იძულებითი ცვლილება მოხდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მის თამაშზე. შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა — 78:64.

ამ ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის კალათბურთელთა შეხვედრა. გამარჯვებულ კალათბურთელებმა [illegible] შემდეგ. უკრაინელებმა მინიმალური უპირატესობით იმარჯვეს — 85:84. როგორც ვხედავთ, ფინიშზე ლიდერებს აშკარად გაუჭირდათ.

მოსკოველმა კალათბურთელებმა მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს ლიტველებთან — 68:62.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ბელორუსია	5	5	0	10
უკრაინა	5	5	0	10
მოსკოვი	4	3	2	8
ლიტვა	4	3	2	8
რსფსრ	5	2	3	7
ლატვია	5	1	4	6
ლენინგრადი	5	1	4	6
საქართველო	5	0	5	5

საქართველოს კალათბურთელებს ჩასატარებელი დარჩათ ორი მატჩი ლატვიისა და ბელორუსიის გუნდებთან. თუ ჩვენმა გოგონებმა 8 ქულით დაამარცხეს ლატვიის კოლექტივი, მაშინ მათ ერთი საფეხურით შეუძლიათ დაწინაურდნენ სატურნირო ცხრილში. არის კიდევ სხვა შანსებიც, მაგრამ... უმჯობესია დარჩენილ შეხვედრებს დაველოდოთ.

„თეთრი ღამეების" პრიზზე

ლენინგრადში გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში „თეთრი ღამეების" პრიზზე. შეჯიბრებაში 270 სპორტსმენი მონაწილეობდა. კარგად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" მოჭიდავეებმა — მათ რვა საპრიზო ადგილი დაიკავეს. პირველ ადგილზე გავიდნენ დავით რჩეულიშვილი (45 კგ), ზურაბ მესხი (64), მამუკა ტაბუცაძე (74) და დავით ხიხრიკაძე (87), მეორეზე — ლევან გაბარაევი (60), ალან ბოლოთაევი (69) და რევაზ გაგოშიძე (74), მესამეზე — ნუგზარ გელაშვილი (69).

გუნდი მოამზადეს სპორტის ოსტატებმა ლერი ძაგანიამ და შალვა ახმედოვმა.

„დინამო" თუ „რაპიდი"?

დადგა ფეხბურთში ევროპის კლუბური ტურნირების საპასუხო ნახევარფინალურ შეხვედრათა დღე. წინ მხოლოდ ფინალებია.

რახან სამივე ტურნირში მხოლოდ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში შემორჩა საბჭოთა ფეხბურთის წარმომადგენელი, მოსკოვის „დინამო", ბუნებრივია, ჩვენი ყურადღება სწორედ მოსკოვის „დინამოსა" და ვენის „რაპიდის" ბრძოლისკენ არის მიმართული.

პირველი მატჩი ვენაში, როგორც ცნობილია, „რაპიდმა" მოიგო ანგარიშით 3:1. მოსკოველებს რევანშის აღება სჭირდებათ, მათ სავსებით ხელს აძლევთ ანგარიში 2:0 და მაშინ თუ ორი მატჩის საერთო ბალანსი იქნება 3:3, ვენის სტადიონზე გატანილი ერთი ბურთი კი [illegible] დინამოელებს [illegible] ფინალის საგზურს.

მოსკოვის „დინამოსა" და ვენის „რაპიდის" მატჩს ცენტრალური ტელევიზია დღეს გადასცემს 20 საათიდან თბილისის დროით.

რჩეულთა შორის რჩეული

ამ კათედრის ზღურბლზე ფეხი გადაუდგამს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ყველა სპეციალისტს. აქ ყველა მოკრძალებით შედის, მხრებზე თეთრხალათწამოსხმული...

ფიზკულტურის ინსტიტუტის ადამიანის ანატომიის კათედრას, მის სრულყოფას, ნამდვილ სასწავლო და სამეცნიერო კერად გარდაქმნას თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე შეალია პროფესორმა გიორგი თვალაძემ. კაბინეტ-ლაბორატორიებმა ყველაფერი ველარ დაიტია და ინსტიტუტის მთელი მეორე სართულის დერეფანიც დაიკავა. ახლა აქ კათედრის მუზეუმმაც დაიდო ბინა. იყო დრო, პრიმიტიული, თითქმის კუსტარული ხელსაწყოებით ტარდებოდა ლაბორატორიული გამოკვლევები. პრიმიტიული იყო თვალსაჩინოების საგნებიც, მწირი იყო წარმოდგენა სპორტსმენის ანატომიაზეც.

ადამიანის ანატომიის საფუძვლიანი ცოდნა ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს განსაკუთრებით სჭირდებათ. სწორედ ამის ღრმა რწმენა უქმნიდა კათედრას ავტორიტეტს. პროფესორმა გიორგი თვალაძემ აქ დაამუშავა სახელმძღვანელო წიგნი — „ადამიანის ანატომია“ ატლასითურთ. საკანდიდატო დისერტაციებიც მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიცვეს ინსტიტუტის ყოფილმა სტუდენტებმა და შემდგომ კათედრის თანამშრომლებმა. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ჰანტურია, რომელიც კათედრას ამჟამინდელი ხელმძღვანელია, აქ სამი ათეული წელია მუშაობს, სადოქტორო დისერტაციაც ამ ინსტიტუტში დაიცვა.

...დილიდან საღამომდე არ წყდება დერეფანში თეთრხალათიანთა ნაკადი. გარდა იმისა, რაც ოფიციალურადაა გათვალისწინებული, აქ ყოველდღიურად ტარდება დამატებითი მეცადინეობები ინდივიდუალური გრაფიკით — რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრები იმ დროს შეაღებენ კათედრის კაბინეტ-ლაბორატორიების კარებს, როცა ეს მათთვისაა ხელსაყრელი.

შესანიშნავი სასწავლო ბაზა, პროფესორ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრები, შეუვალი ავტორიტეტი — აი კიდევ რითაა გამორჩეული ეს კათედრა მთელს საბჭოთა კავშირში ფიზკულტურის ინსტიტუტების ასეთსავე კათედრებს შორის.

სურათზე: კათედრის უფროსი მასწავლებელი თამარ თხილავა ხემინარულ მეცადინეობაზე პირველკურსელებთან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



ოსტატობის კარიბჭე

თერთმეტი წლისა იყო, პირველად რომ შეაბიჯა ფარიკაობის დარბაზში, პირველად რომ მოიზომა საფარიკაო ფორმა. [illegible] მიიყვანეს სპორტულ სექციაში. გამოცდილი მწვრთნელის შოთა დარასელიას მახვილმა თვალმა უმალ ამოიცნო ტალანტი, თავისი მეუღლის, ქალბატონ თამარის ჯგუფში შესთავაზა ვარჯიში. მაგრამ მშობლები ცუ უარზე დადგნენ — სად გოგო და სად ფარიკაობაო. ასე გაგრძელდ კარგა ხანი. რუსიკოს ფარიკაობისაკენ მიუწევდა გული, მშობლებს კ ფარიკაობის ხსენებაზეც ელეთმელეთი მოსდიოდათ. ბოლოს ისევ მწვრთნელი ჩაერია საქმეში...

სპორტიც, სწავლაც

ახლა რას ამბობენ-მეთქი, ვეკითხები რუსიკოს. გაეცინა: „ახლა მგონი კმაყოფილი არიან. ვარჯიშზე თუ შემაგვიანდა, დედაჩემი საშველს არ მაძლევს — რას შვრები, რატომ არ მიდიხარო... ჩემი უმცროსი დაც მოფარიკავე გახდა, შარშან დაიწყო ვარჯიში, თბილისის ჩემპიონია თანატოლთა შორის“.

რუსიკო გალუაშვილმაც თბილისის პირველობაში მოიპოვა პირველი ჯილდო. ვარჯიში თვენახევრის დაწყებული ჰქონდა, მაგრამ არავის დაუდო ტოლი... დღეს რუსიკო სპორტის ოსტატია, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის ფრიადოსანი სტუდენტი, რესპუბლიკის ნაკრების სრულუფლებიანი წევრი. შარშან ტაშკენტში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე გამოდიოდა, პრიზიორებში ვერ მოხვდა, მაგრამ ცუდად არ უფარიკავია. გუნდურ ტურნირში თითქმის ყველა საპასუხისმგებლო ორთაბრძოლა მოიგო. „ტაშკენტური“ გუნდი ახლა ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებისთვის ემზადება. რუსიკო გალუაშვილი, ლელა ლექავა, ქეთევან გაჩეჩილაძე, ინგა ფრანგიშვილი — აი, ასეთია საქართველოს რაპირისტ გოგონათა ნაკრების ძირითადი შემადგენლობა. ნაკრებ კანდიდატები არიან აგრეთვე ხ თუნა მამუკაშვილი და ნათია შ თირიშვილი.

— მე და ლელა ლექავა „ძველ მეტოქეები ვართ, — ამბობს რუ სიკო, — რამდენიმე წელიწად რესპუბლიკური შეჯიბრებების ფინა ლში ვხვდებით ერთმანეთს. ხან ის ხდება ჩემპიონი, ხან — მე. ლელ ქუთაისელია, ლამაზად, ტექნიკუ რად ფარიკაობს, გუნდში ყველ უყვარს, ნამდვილი მეგობარია. ქე თინო გაჩეჩილაძე ჯერ კიდევ სკო ლაში სწავლობს, რომ იტყვიან, სპო რტული ხასიათი აქვს, უბრძოლვე ლად არაფერს დათმობს. ჩვენი გუ ნდის ერთ-ერთი საიმედო წევრი ინგა ფრანგიშვილი, მონდომებით ვარჯიშობს, ახლახან უმაღლესი ს სწავლებლების რესპუბლიკურ შ ჯიბრებაში გაიმარჯვა. ჩვენი დიდ სურვილია, რაც შეიძლება უკე გამოვიდეთ ჭაბუკთა საკავშირო თა მაშებზე, გაცილებით უკეთ, ვიდ რე მოსწავლეთა სპარტაკიადაზე.

● ვარჯიში, შეკრებები, შეჯიბრებები... ინსტიტუტში სწავლას როგორღა ასწრებთ?

— ჯერჯერობით ვასწრებ. საწვრთნელი შეკრებები ძირითადად

ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა

ტურიზმი—ბუნების სიმშვენიერით ტკბობა

ბატონ ვლადიმერს შინ დავურეკე. ყურმილი მეუღლემ აიღო. სახეტიალოდაა წასული... წვიმს, მაგრამ კვირას შინ გააჩერებთ? როგორც კი მოვა, თვითონ დაგირეკავთო, დამაიმედა ქალბატონმა ნათელამ. ხუთ საათამდე ვუცადე, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ საღამოს ცხრა საათზე გაისმა ზარი...

დიახ, კვირას გვიან ღამით შევხვდი საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პიროვნების ფსიქოლოგიის განყოფილების გამგეს, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორს ვლადიმერ ნორაკიძეს. მაპატიეთ, ასე გვიან რომ გაწუხებთ, ვინ იცის, როგორი დაღლილი ბრძანდებით-მეთქი. როგორ გეკადრებათო, — მიპასუხა ბატონმა ვლადიმერმა, — ოცდახუთი კილომეტრი გავიარე დღეს. ასე მგონია, ახლა მთებს გადავაბრუნებ...

— ბავშვობისას მაღალი და ვიწრომკერდიანი ვიყავი. ალბათ ამის გამო დამისუსტდა ფილტვები, — გვიამბობს ვლადიმერ ნორაკიძე.

ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ვსწავლობდი, ის იყო საფრანგეთიდან დაბრუნდა აკადემიკოსი პეტრე ქავთარაძე. მან ბელგიელი ფიზკულტურელის მიულერის სისტემა თარგმნა ქართულად. ეს წიგნი ძალიან გამომადგა. გავეცანი მიულერის სისტემას, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვარჯიშს, ცურვას, რბენას, მზის აბაზანებს. დავიწყე ვარჯიში და სრულიად განვიკურნე. წამლები არასოდეს მიმიღია.

ფილოსოფიის ფაკულტეტი დავამთავრე, შემეძლო თბილისში დავრჩენილიყავი, მაგრამ მოვითხოვე მთაში გამგზავნეთ-მეთქი. ყაზბეგში გამანაწილეს მასწავლებლად.

სულ ფეხით დავდიოდი, მოხევეებს სანადიროდაც დავყავდი. ის იყო სიმონ ჯაფარიძეც ამოვიდა, ჯგუფი მიჰყავდა მყინვარწვერზე. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. ნიკოლოზ შენგელაია იმხანად ყაზბეგში „ელისოს“ იღებდა. როგორც ნათესავს, ანგარიში გამიწია და მიშუამდგომლა ბატონ სიმონთან. ნაბადი და ბანდულები გლეხებს გამოვართვი და ისე ავედი მყინვარწვერზე. ამ ასვლამ ყველაზე დიდი სიხარული მომგვარა ცხოვრებაში. ბოლოს და ბოლოს, სპორტის ფილოსოფია მეტი კი არაფერია — სწრაფვა დაუძლეველის დაძლევისაკენ... მალე ახლომდებარე დაბალი მწვერვალებიც დავლაშქრეთ. ერთი სიტყვით, ხეტიალის „გემო“ ვიგრძენი, მაგრამ მიულერის სისტემას მაინც ვერ შეველიე. დილდილობით 20-25 წუთს ვვარჯიშობდი.

მერე, ასაკში რომ შევედი, ასე, სამოცისა რომ გავხდი, უცებ ვიგრძენი საერთო სისუსტე. მუშაობისას დიდხანს ვიჯექი, რასაც არ შეიძლებოდა თავისი კვალი არ დაემჩნია. სწორედ იმ პერიოდში ფიზკულტურის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა და მოხალისე ტურისტების ჯგუფს გავეცანი, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს ავთანდილ ციბაძე. მან ბევრი ბილიკი გაკვალა თბილისის ირგვლივ და არა მარტო თბილისის შემოგარენში. ავთანდილს მთელი საქართველო ფეხით აქვს შემოვლილი.

თბილისიდან გახვალთ და ბეთანია, ბევრეთი, დიდგორი, კოჯრის მიდამოები, მარტყოფი... რა სილამაზე იშლება თქვენს თვალწინ, როგორ შეიძლება მოიკლოს კაცმა ბუნებასთან სიახლოვით გამოწვეული სიხარული და სიამოვნება. მთები, ტყე, ველი — მოგზაურს მეტი რა უნდა.

სიარულს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. კვირის ბოლოს საქმით დაღლილ კაცს განმუხტვა სჭირდება. სიარულის დროს ადამიანი მთლიანად ივიწყებს საქმეს. ტურისტები მხიარული ხალხია. ტყეში ხან სიმღერას შემოსძახებენ, ხანაც ლექსით გაეპაექრებიან ერთმანეთს.

გგონიათ, ღვინოს არ ვეკარებით? ნახევარი ბოთლი ღვინო მაინც გვიდევს ზურგჩანთაში. მშვენიერი, ჭეშმარიტად ქართული სადღეგრძელოების თქმაში „ვეჯიბრებით“ ერთმანეთს, წავიხემსებთ და ისევ ვაგრძელებთ გზას. საერთოდ, ტურიზმი საოცრად აახლოებს ადამიანებს. მახსოვს, ერთი უკარება კაცი დადიოდა ჩვენთან ერთად. მასწავლებელი. მალე ისე გამოიცვალა, ველარ იცნობდით.

ახლა, თუ გაინტერესებთ, ჩემს ახლანდელ დღის რეჟიმსაც გაგაცნობთ. ოთხმოცს გადაცილებული კაცი ვარ და ერთი წუთითაც არა მაქვს მოცლა. კვირაში სამჯერ, უთენია, 40-50 წუთის განმავლობაში ჯერ ჩვეულებრივად ვვარჯიშობ, შემდეგ იოგების ვარჯიშებს ვიწყებ. ყველაფერს წყლის პროცედურებით ვამთავრებ. დანარჩენ სამ დღეს საცურაო აუზში დავდივარ, 400 მეტრამდე ვფარავ. ვარჯიშით მხნეობამომატებული და გახალისებული მერე მთელი დატვირთვით ვმუშაობ. საღამოობით, დღეგამოშვებით, კუს ტბის ბილიკებზე დავრბივარ. კვირა დღეს... თუმცა, ხომ გითხარით, ქალაქგარეთ რომ გავდივარ. დღეს, მაგალითად, წყნეთში მანქანით ავედით. იქიდან ფეხით გავუყევით გზას, უძო გავიარეთ, წავკისის წყაროებთან ვისაუზმეთ. მერე კუს ტბაზე ჩამოვედით. ტურბაზასთან ნაბიჯმზომმა ოცდახუთი კილომეტრი უჩვენა.

საერთოდ, წელიწადში 40-45 დღეს მაინც დილიდან საღამომდე ჰაერზე ვართ. უკეთესს ჯანმრთელობისთვის ვერაფერს ინატრებს კაცი. გული მწყდება, ამდენს დავდივართ და ქართველებისთვის ერთხელაც არ მოგვიკრავს თვალი. გაგიხარიათ, პურ-მარილით დატვირთული მანქანებით კი დაქრიან აღმა-დაღმა.

პროპაგანდა აკლია ტურიზმსო, მეტყვით. არა, როგორც მოგახსენეთ, ამ საქმეში დიდ ამაგდარად შეიძლება ავთანდილ ციბაძე მივიჩნიოთ. ამ კაცმა იმდენი იბრძოლა, რომ რადიო-ტელევიზიის საშუალებით, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის დიდი დახმარებით შეძლო ერთ კვირა დღეს ორასი კაცი მოეგროვებინა დათქმულ ადგილზე.

ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები ტურისტულ ლაშქრობაში. მარჯვნიდან პირველი, პროფესორი ვლადიმერ ნორაკიძე.

მოკლე მარშრუტი ავირჩიეთ, თხუთმეტკილომეტრიანი, მაგრამ რად გინდა, თანდათან ჩამოგვცილდნენ მუხლსუსტნი. ბოლომდე მხოლოდ ორმოცდაათი კაცი მივიდა, არადა, რამდენი ისტორიული ძეგლია თბილისის ახლოს. ბევრს მანქანით ვერც მიუდგები...

პრაღაში ვიყავი მივლინებით... კვირაობით მთელი ქალაქი ცარიელდება...

იქნებ ქალებმა გვიშველონ? ქალმა თუ დაიჩემა, წინ ვინ დაუდგება. ჰოდა, წამოყარონ სავარძელში ჩასვენებული ოჯახის წევრები, მოსწყვიტონ ისინი ტელეეკრანებს. რომ იცოდნენ, რამოდენა სიამოვნება ელით! ამ დროს, ჩემი დაკვირვებით, დიასახლისებიც კი ყველა საოჯახო საქმეს კვირა დღეს აკეთებენ.

...ტურიზმი, გარდა იმისა, რომ ამაგრებს ნერვულ სისტემას, სულიერ წონასწორობას გვინარჩუნებს. ტურიზმი ბუნების სიმშვენიერით ტკბობის საშუალებას გვაძლევს. ასე რომ, ის, ვისაც საკუთარი ოთხი კედელი და ტელევიზორი არ ეთმობა, მერწმუნეთ, ბევრ ადამიანურ სიამოვნებას იკლებს...

საუბარი ჩაიწერა
დავით ჟელიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲒᲐᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ)

დაიბადა 1967 წელს თბილისში. წონა 58 კგ, სიმაღლე 163 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრი. მწვრთნელი თამარ დარასელია. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი. რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი თანატოლთა შორის, ჟურნალ „მართვეს" პრიზის საკავშირო გათამაშებაში გამარჯვებული, მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ემზადება ჭაბუკთა პირველი საკავშირო სპორტული თამაშებისთვის.

ტის გვერდით, სა-
ბაში გვაქვს, ლექცი-
რებ და ვარჯიშზეც.
რომ მივემგზავრე-
ებლები თან და-
მისში ქალთა საე-
ტურნირზე მომიწევს
გამარჯვების იმედი
ვერ ვიტყვი, მაგრამ
რება გამოცდილების
საშუალებაა.

შორისო შეჯიბრება-
მოგიღიათ მონაწი-

მინსკის ტურნირში
სტარტზე ექვსიდან

ა მივიდე, მაგრამ მო-
ზე გასასვლელად არ

როგორ ეგუებით?

, პირველად რომ
ე. მერე და მერე შე-
ები არავის სიამოვ-
მ, ეტყობა, მეტისმე-
ება არ ვარგა, დასკვ-
ება კი საჭიროა.

ტრით, მოფარიკა-
ლაზე მთავარი რა არის?
, გაბედულება. საფა-

რიკაო ბილიკზე რომ გახვალ, შიშის გრძნობა არ უნდა გქონდეს. ვაი შენი ბრალი, მწვრთნელმა, ქალბატონმა თამარმა თუ შეგატყო, რომ მუხლები აგიკანკალდა. ფარიკაობაში, საერთოდ — სპორტში, წარმატებას ისინი აღწევენ, ვინც უშიშარია და თავის თავში დარწმუნებული, მაგრამ ხასიათის სიმტკიცესთან ერთად, ცხადია, აუცილებელია კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება. ტექნიკის სრულყოფას, გამძლეობის გამომუშავებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საწვრთნელ ვარჯიშებზე.

ჩვენი შეჯიბრებების პროგრამა ისეა შედგენილი, რომ ერთ დღეს შეიძლება თხუთმეტჯერ მოგიწიოს სარბიელზე გამოსვლა. დამეთანხმებით, ასეთ მარათონულ ტურნირებს ბევრი ძალა და ენერგია მიაქვს.

- **რაზე ოცნებობთ?**

— დიდ გამარჯვებაზე. ვიცი, რომ ამისთვის გაცილებით მეტი შრომა, ვარჯიში და მოთმინებაა საჭირო. ვემზადები ამისთვის, ძალიან მინდა ჩემი სახელიც შემორჩეს ფარიკაობას — მერე, როცა აქტიურ სპორტს თავს დავანებებ.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝᲔᲚᲘ.

ᲠᲘ

ს ვერ ნახავთ დიდ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა შორის, ების მწვრთნელის პოსტი ხშირია, მაგრამ ჩვენი სპორტისთვის, ებით მძლეოსნობის განვითარებისთვის ბევრი კარგი საქმე ა. ჩუმი და უპრეტენზიო კაცია ჰამლეტ ათაბეგოვი. ორმოცი ქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მუშაობს, ოც ზე მეტია სპორტულ კლუბს უძღვება.

Ა ᲡᲐᲥᲛᲔ
ᲕᲐᲠᲡ

არდა, ენერგიით აღსავსე
ინსტიტუტში. შრომითი
ა გავლო — 26 კომი-
ავშირის რაიკომის, სა-
კომკავშირის ცენტრა-
ტეტის ინსტრუქტორად
ერთხანს ინსტიტუტის
ლ ორგანიზაციას ედგა
1948 წლიდან კი მძლე-
კათედრაზე გადავიდა...
ამ ათეულ წელი-
რაც ჩვენთან მძლე-
ქმის არც ერთი შეჯი-
ჩატარებულა ჰამლეტ
აქტიური მონაწილე-

ობის გარეშე, ხშირად იწვევენ დიდ საერთაშორისო ასპარეზობებზეც. ჰამლეტი მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე და „მეგობრობა-84"-ის საერთაშორისო ტურნირზეც მიიწვიეს მსაჯად. ინსტიტუტში მოდის შეჯიბრების ორგანიზატორთა მადლობის წერილები. ობიექტური, პრინციპული, სამართლიანი — ასე იცნობენ ჰამლეტს მძლეოსნურ წრეებში, ამიტომაც მიანიჭეს საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯის წოდება.

ჰამლეტს არ უყვარს საქმის მიფუჩეჩება, რასაც აკეთებს, გულით აკეთებს. ერთხელაც ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის ხელმძღვანელობა დაავალეს... ორ წელიწადში საერთო საცხოვრებელი სანიმუშო გახდა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილ საკავშირო კონკურს-დათვალიერებაშიც გაიმარჯვა. ეს კაცი აქტივის დარაზმვის იშვიათი უნარით გამოირჩევა, ყველაფერს ასწრებს, ყველა საქმეში მხარში უდგას ინსტიტუტის ხელმძღვანელობას. სწორედ ჰამლეტი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი საბჭოთა კავშირის გმირის, ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტის ვახტანგ ლეჟავას საჩოგბურთო მემორიალისა, და მარტო ამ შეჯიბრებისა? ინსტიტუტის თანამშრომლებს, სტუდენტებს უყვართ, პატივს სცემენ მას, როგორც საქმის ერთგულ, პატიოსან, თავმდაბალ პიროვნებას, ჩვენი სპორტის ჭეშმარიტ ენთუზიასტს..

ახლახან მოსკოვიდან დეპეშა მოვიდა: **„მძლეოსნობის მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის სახელით ვულოცავთ ჩვენს ქვეყანაში ცნობილ საპატიო მსაჯს ჰამლეტ გრიგოლის ძე ათაბეგოვს 60 წლის შესრულებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას საყვარელ საქმეში".**

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲡ

ᲒᲐᲚᲐᲕᲔᲠᲘ

ᲓᲘᲓᲘ ხანია ცნობილია, რომ ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაზე ყმაწვილობიდანვე უნდა ვიზრუნოთ. ამ შემთხვევაში ტანვარჯიში ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა. ცხადია, ლაპარაკია მარტივ ვარჯიშებზე, რომლებიც დიდად უწყობს ხელს მოზარდის ფიზიკურ განვითარებასაც და სასიცოცხლო ფუნქციების გააქტიურებასაც.

ნორჩების ფიზიკური აღზრდა ორგანიზებული, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით სკოლამდელ დაწესებულებებში იწყება. მიუხედავად ამ საქმის უაღრესად დიდი მნიშვნელობისა, საბავშვო ბაგა-ბაღებში ჯერ კიდევ არ არის ცალკე გამოყოფილი სპეციალისტის შტატი და ამ მოვალეობას აღმზრდელები ასრულებენ. სხვათა შორის, რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტშიც ამ დარგის მხოლოდ ერთი სპეციალისტი უძღვება საქმეს.

ფიზკულტურის ინსტიტუტს სხვადასხვა დროს არაერთი კარგი თაოსნობა გამოუჩენია. სწორედ ამ ინსტიტუტის თაოსნობით აქ ჯერ კიდევ 1982 წელს ჩამოყალიბდა საკონსულტაციო პუნქტი, სადაც მშობლებს უტარდებათ საგანგებო მეცადინეობა, შემდეგ კი ისინი შინ, დამოუკიდებლად ავარჯიშებდნენ ბავშვებს. თაოსნები უფრო შორსაც წავიდნენ — დღეს აქ მშობლები ბავშვთა საერთო ფიზიკურ მომზადებასა და მათი შემდგომი სპორტული სრულყოფის საკითხებზეც იღებენ კონსულტაციას. საკონსულტაციო პუნქტის ხელმძღვანელებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ მეცნიერული დაკვირვებაც ჩაატარონ მოზარდებზე. დასკვნა ასეთია: იმ ბავშვებს, რომლებიც 3-4 წლის მანძილზე სისტემატურად ასრულებენ მათი ასაკისთვის შესაფერის ვარჯიშებს, 6-7 წლამდე უვითარდებათ აუცილებელი ფიზიკური თვისებები: სისწრაფე, კოორდინაცია, ძალა, მოქნილობა და... მუსიკალურობა, რიტმის გრძნობა.

ბოლო ხანებში ჩვენ თავად დავიწყეთ ბავშვებისთვის ცურვის გაკვეთილების ჩატარება, მძლეოსნური სახეობებიდან კი ძირითადად რბენაში ვარჯიშს ვამჯობინებთ. ტანვარჯიშის კათედრა ამჟამად განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით ამზადებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, რომლებიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განათლების სამინისტროს სისტემაში იმუშავებენ.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ.

სურათებზე: ნორჩები ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში.

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სპორტულ ბაზებზე ჩატარდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში 1967-1968 წლებში დაბადებულ ჭაბუკ სპორტსმენთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. ასპარეზობის პირველი დღიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო საქართველოს ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტები გენადი სკორიკი, ვიაჩესლავ ზუტიკოვი და 128-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე რევაზ ლოხიშვილი (მწვრთნელები თენგიზ ახალშენიშვილი და ზურაბ ბარამიძე). აღსანიშნავია, რომ გუნდის ყველა წევრი ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა სპორტული სკოლის აღზრდილები არიან.

პირად პირველობაში საუცხოოდ იასპარეზა საქართველოს ნაკრების გუნდის წევრმა გენადი სკორიკმა. მან ხუთიდან სამ სახეობაში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ორში — ცურვასა და მძლეოსნურ კროსში სტაბილურად გამოვიდა, რითაც მიუწვდომელი გახდა მეტოქეებისთვის. საბოლოო ჯამში 5492 ქულით იგი „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილი დაიკავა ბელორუსიის ნაკრები გუნდის წევრმა სერგეი ქარჩენკომ — 5252 ქულა. მესამე იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი რევაზ ლოხიშვილი — 5228. აქვე აღვნიშნავთ, რომ სკორიკი და ლოხიშვილი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ემზადებიან ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშებისთვის და სასიხარულოა, რომ მზადების ამ ეტაპზე ორივე ხუთჭიდელი კარგ სპორტულ ფორმაშია.

გუნდურ პირველობაშიც უძლიერესი ჩვენი ნაკრები იყო — 14760 ქულა, მეორე ადგილზე გავიდა რსფსრ-ის კოლექტივი — 14144, მესამე ადგილზე მოსკოვის წარმომადგენლები არიან — 13664.

ᲑᲘᲫᲘᲙᲝ ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

„ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს 1985 წლის ჩემპიონი თბილისის ჭაბუკთა ნაკრები გუნდი. მარცხნიდან — ვიაჩესლავ ზუტიკოვი, გენადი სკორიკი და რევაზ ლოხიშვილი.

იხ. მე-4 გვ.

[illegible] და სპორტის სპეციალისტთა სამჭედლო

ბრძოლისა და შრომის გზა

ოთხმოც წელს მიტანებული კაცია, მაგრამ გაგაოცებთ, ისეთი სიზუსტით ახსოვს ომთან, სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანი. ჭაბუკობიდან მოყოლებული, დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე სამხედრო ფორმა არ გაუხდია. ომის შემდეგ ერთხანს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სამხედრო კათედრაზე მუშაობდა, მერე სამეურნეო-ადმინისტრაციულ დარგში პრორექტორად დაწინაურეს, დღეს ინსტიტუტის სამეურნეო ნაწილის გამგედ მუშაობს.

გიორგი სტურუას ინსტიტუტში ყველა პატივს სცემს. ფუტკარივით მშრომელი, საქმეზე გადაგებული, პატიოსანი კაცია. ინსტიტუტის პრორექტორმა რევაზ კერესელიძემ გვითხრა: „ბატონი გიორგი ერთგული ჯარისკაცივით მუდამ პოსტზეა. უკვე ასაკშია, მაგრამ რომ იტყვიან, კაჟივითაა, ავად თუ გახდა, ყველას უკვირს — როგორ, ძია გიორგის ავადმყოფობა ვის გაუგონიაო“.

...სამტრედიაში, რკინიგზელის ოჯახში დაიბადა. იქვე დაამთავრა რვაწლიანი სკოლა. მერე თბილისში, საცდელი სკოლის კურსების მსმენელი იყო.

„ერთხელ ჩვენთან სამხედრო პირები მოვიდნენ, სამხედრო სკოლისთვის არჩევდნენ ბიჭებს, — იხსენებს გიორგი სტურუა, — მეც შემომთავაზეს კურსანტობა... 1933 წელს წარჩინებით დავამთავრე სამხედრო სკოლა და იქვე დამტოვეს ოცეულის მეთაურად, შემდეგ ასეულის მეთაური გავხდი. იმხანად ჩვენს სკოლაში მართლაც რჩეული ახალგაზრდობა იყო შეკრებილი, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ სპორტულად ნაწრთობი, ჯანმაგარი ბიჭები. სხვათა შორის, ჩვენი კურსანტი იყო მიხეილ ბუხაიძე, მაშინ უწვერულვაშო ყმაწვილი ბიჭი, რომელმაც ომის წლებში საქვეყნოდ გაითქვა სახელი და ნამდვილ სახალხო გმირად იქცა... მე და მიშა ვამხანაგობდით, მხიარული, მეოცნებე ჭაბუკი იყო. მალე ჩვენი გზები გაიყარა. მე კრასნოდარის ფეხოსანთა სამხედრო სკოლაში გადამიყვანეს ათასეულის მეთაურად“.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, გიორგი სტურუა კრასნოდარის სკოლაში მსახურობდა. მისი ათასეული ერთხანს ტუაფსეს იცავდა, მერე გიორგი ისევ კრასნოდარში დააბრუნეს. სამხედრო კადრებს ამზადებდა და ფრონტის წინა ხაზზე გაჰყავდა, თვითონაც კურსანტების მხარდამხარ იბრძოდა. სოროვიკინოში, სტალინგრადის მისადგომებთან, ფეხში დაიჭრა, რამდენიმე თვე ჰოსპიტალში იწვა.

„მალე ამიერკავკასიის ფრონტი ჩამოყალიბდა და თბილისში, კადრების განყოფილებაში გადამიყვანეს სამუშაოდ, იქიდან — თელავის ფეხოსანთა სკოლაში გამგზავნეს. ერთი წლის შემდეგ უკვე ტულასთან ახლოს, სკოპინში ვიბრძოდით... ამ პერიოდში ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის კურსები გავიარე და კვლავ მოქმედ არმიაში მოვხვდი, ამჯერად — უკრაინის ფრონტზე. კარპატებში გააფთრებული ბრძოლები გვქონდა ფაშისტებთან. ძნელია აღწერო ის ჯოჯოხეთი. ძალიან გვიჭირდა, წარამარა გვბომბავდა მტერი, მაგრამ ჩვენც არ ვეპუებოდით. მედგრად ვიდექით, საბოლოო გამარჯვების რწმენა არასოდეს დაგვიკარგავს... სოფელ გლივიშტესთან ერთ-ერთი შეტაკების დროს კვლავ ფეხში დამჭრეს, ამჯერად ჭრილობა უფრო მძიმე გამოდგა. მუკაჩევოს ჰოსპიტალში გადამიყვანეს სასწრაფოდ, მაგრამ მარცხენა ფეხს აღარაფერი ეშველა... ამპუტაცია, პროთეზი. მითხრეს — რას იზამ, ფრონტს უკვე ვერ გამოადგები, შინ უნდა დაბრუნდეო. ტამბოვის ჰოსპიტალში გამგზავნეს. მალე მეუღლემ ჩამომაკითხა...“

გამოცდილი ოფიცრის, სამხედრო კადრების აღმზრდელისა და მებრძოლის გიორგი სტურუას დამსახურება სამშობლოს წინაშე სამი ორდენითა და თორმეტი მედლით აღინიშნა.

„ჩემი ცხოვრების მეორე ნახევარი მთლიანად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს დაუკავშირდა, — ამბობს გიორგი სტურუა. თითქმის ორმოცი წელიწადია ამ სასწავლებელში მუშაობს მრავალჭირგადახდილი, ცხოვრების დარჯაკში გამოვლილი კაცი, რომელიც დღესაც ახალგაზრდული ხალისით აკეთებს სასარგებლო და საჭირო საქმეს. ასეთი ადამიანის მიმართ არ შეიძლება პატივისცემითა და მოკრძალების გრძნობით არ განიმსჭვალო.

თამარ სხვიტარიძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის 200-ზე მეტი სტუდენტი მსახურობს ამჟამად საბჭოთა არმიის რიგებში. სასწავლებელში [illegible] მოდის მადლობის წერილები სამხედრო ნაწილებიდან. [illegible] ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც ღირსეულად იხდის მხედრულ ვალს სამშობლოს წინაშე.

ფრიადოსანი

„სერჟანტი გრიგოლ ციბაძე სამხედრო ცხოვრების ყოველდღიური მაგალითით დამაჯერებლად ამტკიცებს ფიცისა და წესდების ერთგულებას, ზრდილი, მრავალმხრივ მომზადებული ახალგაზრდაა“ — წერდა ამას წინათ შორეული აღმოსავლეთის გაზეთი „ბაევოე ზნამია“. იქვე ნაწილის უფროსი აღნიშნავს: „დისციპლინის განმტკიცებაში აქტიურად მეხმარებიან გამოცდილი უმცროსი მეთაურები, მათ შორის სერჟანტი ციბაძე“. თბილისელმა ჭაბუკმა უკვე ბევრი სიგელი და მადლობა დაიმსახურა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მოპოვებული წარმატებებისთვის.

გრიშა და მისი უფროსი ძმა ზვიადი პატარები იყვნენ, როცა მამა (წყნეთის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გრიგოლ ციბაძე) გარდაეცვალათ. დედა, ქალბატონი ზაირა ყველანაირად ცდილობდა, რომ ბავშვებს უმამობა არ დასტყობოდათ. ორივენი მამის კვალს გაჰყვნენ. ზვიადმა წარჩინებით დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი, გრიგოლი კი — ამავე ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტი — შარშან გაიწვიეს არმიაში.

სწავლის ფრიადოსანი სამხედრო სამსახურის ფრიადოსანიც გახდა.

დამატებითი პროფესიის სიკეთე

1974 წელს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში გაიხსნა საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი, რომელმაც შარშანაც მეცხრედ გამოუშვა სპეციალისტთა ჯგუფი. ფაკულტეტის დეკანს, ინსტიტუტის პროფესორს ავთანდილ ციბაძეს ვთხოვეთ განემარტა ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო ზოგიერთი რამ.

ინტერვიუ

● საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტები დღეს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელშია გახსნილი. თქვენს ინსტიტუტში შექმნილი ფაკულტეტი ძირითადად რა მიზანს ისახავს?

— თანამედროვე სპეციალისტის მიმართ მოთხოვნები შეუდარებლად გაიზარდა. ახალგაზრდა კურსდამთავრებული თავის ძირითად საქმესთან ერთად უნდა ერკვეოდეს მონათესავე სპეციალობაშიც, სასურველია ჰქონდეს საჭირო თეორიული ცოდნა მაინც. ვთქვათ, მთის სოფელში ჩავიდა ფიზიკური კულტურის ახალგაზრდა სპეციალისტი, სკოლაში მუშაობის პარალელურად მას უნდა შეეძლოს პრესაში სოფლის სპორტული ცხოვრების გაშუქება, ფიზკულტურის, სპორტის პროპაგანდა, სპორტსმენთა პირველი სამედიცინო დახმარება, მასაჟის გაკეთება და ა. შ. საზოგადოებრივ პროფესიათა ჩვენი ფაკულტეტი სწორედ ასეთი ფართო პროფილის სპეციალისტებს ზრდის.

● ბევრი გვეკითხება, მართლა გაიხსნა თუ არა ფიზკულტურის ინსტიტუტში სპორტული ჟურნალისტიკისა და სამკურნალო ფაკულტეტი...

— ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე ამჟამად ოთხი განყოფილება მუშაობს: სპორტული ჟურნალისტიკის, სპორტში სამედიცინო რეაბილიტაციის, ლექციური პროპაგანდისა და ტურიზმის ინსტრუქტორ-ექსკურსიამძღოლთა მომზადების. როგორც ვთქვით, ჩვენს კურსდამთავრებულს საჭიროების შემთხვევაში დამატებით შეუძლია გამოიყენოს ერთ-ერთი „პროფესია“, რომელსაც ის ინსტიტუტში საზოგადოებრივ ფაკულტეტზე დაეუფლება.

სხვათა შორის სამკურნალო ფაკულტეტის შესახებ ჩვენც გვეკითხებიან. ჩემი აზრით, ეს მცდარი ინფორმაციის შედეგია. სპორტული ჟურნალისტიკის, სამედიცინო რეაბილიტაციისა და სხვა განყოფილებაზე სწავლის უფლება აქვთ მხოლოდ ინსტიტუტის სტუდენტებს. ეს მეორე საზოგადოებრივი პროფესიაა და მის შესაძენად არანაირი მისაღები გამოცდები არ ტარდება. აქ სწავლას აგრძელებენ ჩვენივე ინსტიტუტის მეორეკურსელები.

● შედეგებით კმაყოფილი თუ ხართ?

— ჩვენ შარშან სპეციალისტთა მეცხრე ჯგუფი გამოვუშვით, საერთოდ კი ჩვენი ფაკულტეტი დაამთავრა და მეორე პროფესია მიიღო ოთხასამდე სტუდენტმა. რაოდენობის თვალსაზრისით ურიგო შედეგი არ გახლავთ, მაგრამ ხარისხი კი ჯერ კიდევ არ გვაკმაყოფილებს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ამჟამად მუშაობენ გაზეთ „ლელოში“, ტელევიზიაში, რადიოში, ნაყოფიერად იღვწიან რაიონებში, თანამშრომლობენ ადგილობრივ გაზეთებში, მუშაობენ სანატორიუმებსა და კლინიკებში მასაჟისტებად, უძღვებიან ტურისტულ ჯგუფებს, ლექციებს კითხულობენ ახალგაზრდულ აუდიტორიებში.

● პერსპექტივები?

— გვსურს დავხვეწოთ და გავამრავალფეროვნოთ სპეციალისტთა აღზრდის მეთოდები. გვინდა გავხსნათ კინომოყვარულთა განყოფილებაც. კინოსაქმის ცოდნა დღეს განსაკუთრებით სჭირდება მწვრთნელებს. გოგონები გვთხოვენ საოჯახო საქმიანობის, ჭრა-კერვისა და ქსოვის შემსწავლელი ჯგუფების გახსნას.

● ახლა ძირითადად რით არიან დაკავებული მსმენელები?

— ამჟამად მიმდინარეობს სადიპლომო ნამუშევრების დაცვა. ლექციური პროპაგანდის ჯგუფის მსმენელებს კი სურთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოება „ცოდნის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში. ისინი მუშაობენ სალექციო ტექსტებზე და ემზადებიან კონკურსისათვის.

დიახ, ფაკულტეტის შექმნა ცხოვრებამ გვიკარნახა და აკი ეხმიანება კიდეც სადღეისო მოთხოვნებს.

ესაუბრა
ლევან კარბელაშვილი.

რეპლიკა

სადაც მინდა ვითამაშებ

ანუ ეგრე არ არის თაყაო...

რა ფიცი-მტკიცი სჭირდება იმას, რომ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდა ამა თუ იმ სპეციალობის მისაღებად შედის. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ფიზკულტურის ინსტიტუტია. თუმცა, ზოგიერთი სტუდენტი ისე იქცევა, თითქოს ინსტიტუტში შესვლის მთავარი და ერთადერთი მიზანი დიპლომი იყოს...

მართლაც, რა სპეციალისტის აღზრდაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს ზოგიერთი სტუდენტი ფეხბურთელი თვალითაც არ უნახავთ? ფიზკულტურის ინსტიტუტში ნებისმიერი ფაკულტეტისა და სპეციალობის სტუდენტებს მჭიდრო კავშირი აქვთ თავიანთ კათედრებთან. ამ ურთიერთკავშირის გარეშე წარმოუდგენელია მომავალი სპეციალისტის მომზადება. ფეხბურთელთა ერთი ნაწილი კი, განსაკუთრებით ისინი, ვინც საბჭოთა კავშირის პირველობის მეორე ლიგის გუნდებში თამაშობს, ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრისა და საერთოდ, ყოველგვარი განკარგულების თუ ნებართვის გარეშე ხდება ამ გუნდების წევრი. ცხადია, აქ დიდ როლს ასრულებენ თვით მწვრთნელები, რომლებსაც მხოლოდ კარგი ფეხბურთელი სჭირდებათ და ნაკლებად აღელვებთ როგორი სპეციალისტი დადგება სწავლას ამდენი ხნით მოწყვეტილი სპორტსმენი. ისე არავინ გაიგოს, თითქოს ეს პროცესი უმართავი იყოს. პირიქით, ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრა თავად აძლევს რეკომენდაციებს ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს. ასეთ შემთხვევაში კათედრასა და გუნდის ხელმძღვანელებს შორის ორმხრივი, სტუდენტი სპორტსმენისთვის ხელსაყრელი კავშირია დამყარებული. ფეხბურთელები — ჩქარეული, გურული, მიქაბერიძე, ჩეკუნოვი, ჭედია, ვასილ შენგელია, დურდიაძე, ტყებუჩავა, კულუმბეკოვი, კუდინოვი, სვიმონიშვილი და სხვები ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები არიან და შესაბამის კათედრასთან სიახლოვით შესანიშნავად უხამებენ სწავლას დიდ სპორტს.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ინსტიტუტის ინტერესებიდან გამომდინარეობს. მხედველობაში გვყავს თვით ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი და სტუდენტები. „სადაც მინდა იქ ვითამაშებ...“ ასეთია სტუდენტ ფეხბურთელთა პოზიცია და ყველა იმას ცდილობს, რაც შეიძლება შორს იყოს მშობლიური სასწავლებლისგან. როგორც ჩანს, ინსტიტუტის რექტორატს მთელი უფლებების გამოყენება მოუწევს, რომ თავნება სტუდენტებს შეახსენოს: მომავალი სპეციალისტებისთვის მთავარი საქმე ცოდნის დაუფლებაა.

რედაქტორი ა. გოგელია.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 24 აპრილი. მხიარული სტარტები — 17.30 (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი ტანვარჯიშში — 19.15 (2); ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „რაპიდი“ (ავსტრია) — 20.00 (1).

საკავშირო რადიო. 24 აპრილი. დილის ტანვარჯიში — 6.15 და 7.15; საწარმოო ტანვარჯიში — 12.00.

საქართველოს ტელევიზია. 24 აპრილი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „რაპიდი“ (ავსტრია) — 20.00.

საქართველოს რადიო. 24 აპრილი. სპორტის მოყვარულთათვის — 13.30.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06055